№ 48 — 1916
კვირა, 27 ნოემბ.

წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი"-ს სტამბაში

წელ. მეოთხე გამოცემისა | ფასი 15 კ.

გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი
(45 სამასწავლებლო და სამწერლო მოღვაწეობის გამო. — იხ. ამავე ნომერში წერილი „განათლების მოღვაწე")

შინაარსი

1, მეთაური — სად არის ძალა? 2
2, გ. ქუჩიშვილი — ცის ქვეშ . . . . "
3, ნელი — ჩინებული აზრი . . . . "
4, დია ჩიანელი — „კასპიის ზღვის ტალღებმა იცის!!" 3
5, sirano — (სიმღერა) . . . . "
6, სილოვანი — კრიტიკული შეცდომები . . 6
7, კ. ძიძაძე — ნეტავი იმას 7
8, ლ. გედევანიშვილი — ბედნიერება . . . "
9, გ. შინატეხელი — ნ. ბარათაშვილს . . . 8
10. ჩაქუჩი — წერილები მეგობართან . "
11, ტელლა — სასაფლაოზე 9
12, იოსებ არიმათიელი — განათლების მოღვაწე . . . . "
13, ნ. ელიაშვილი ბენ — დავით იძუდებუხნი 10
14, ი. — ელი — საუკუნის თავი 12
15, ი——ი. — გიორგი ხარსელი . . . . "
16, გუგული — არტუა სასწავლებელში . . . "

გიორგობისთვის 27

ხად ჟრის ძალა? საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო, —ბრძანებს წმინდა სახარება.

ვიდრე თავი ჩვენად გვახლდა, ჩვენი სახარების სიტყვას ძალიაც გვესმოდა, ჩვენს საქმიანობას ხვავი უჩანდა, ხოლო მას შემდეგ, რაც საქმეზე უმეტეს სიტყვა მივ ჩნიეთ, ჩვენს ჰაიჰუას ნაყოფიერი შედეგი აღარ უჩანს.

რომელიმე გაწაფული კალმოსანი ცხელ წერილს უძღვნის ქართული თეატრის აგებას, დრამ საზოგადოების მდგომარეობას, თუ სხვა საზოგადო საქმეს; ვინმე ენა-მოქნილი რიტორი ცხარე სიტყვებით კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებს უქმად მსხდომარე მოღვაწეთა უმაქნისობას და... მალე ყოველივე დავიწყებას ეძლევა.

მიზეზი?—მიზეზი ის გახლავთ, რომ საქმეს სათავეში ხშირად ისეთი კაცი ანუ შემადგენლობა უდგას, რომელსაც ან არა სცალიან, ან მიკუთვნებული სახელი საზოგადოების სასარგებლოდ კი არ უნდა, არამედ პირად პატივ-მოყვარეობის გასადიდებლად.

დღესაც კი ჩვენი ეგრედა წოდებული საზოგადოებრივი აზრი იმ ცრუმორწმუნოებით არის გარემოცული, რომ დიდ გვაროვანთა შორის ეძიებს ხსნას.

თუ ამ გზით ვიარეთ, ვერც საკუთარ ეროვნულ თეატრის აგება-გაფურჩქვნას ვეღირსებით, ვერც მწერლობის დაწინაურებას.

საბედნიეროდ ჩვენი ცხოვრება დაიძრა და სარბიელზე გამოდის დღემდე შეუმჩნეველი ძალა ქვეყნის წარმატებისა,—ვაჭარ-მრეწველთა წოდება, ლებ-მ ცემის ხალხი, ნივთიერად ჩამოქვეითებული, მაგრამ ეროვნულად შეჭნებული თავად-აზნაურობა, რომელმაც წოდებრივი ქურქი ფაქტიურ დ გადაიძრო და მთელს ერს შეევლისა, ყოველი წრის და მდგომარეობის ინტელიგენცია, გათვითცნობიერებული მიხელე მოსამსახურენი და გლეხთა შვილები,—აი უმთავრესი ძალა, რომელმაც უნდა აამოძრაოს ჩვენი კულტურული ცხოვრების ფაქტორები: თეატრი, მწერლობა და სხვ.

თუ ეროვნული თეატრის აგება გვენატრება, მაშ ერის ნამდვილი წარმომადგენელნიც მოვიწვიოთ საქმის საწარმოოდ..

ცის ქვეშ..

(ვუძღვნი ჩვენს მსახიობთ).

1

ტრაპეზი წმიდა ხელოვნებისა
კარგა ხანია გაუქმებულა,
გაუქმებულა და მის ნანგრევზე
ჯერ ახალი არ აღშენებულა!

2

და დღეს, უტაძროდ, უსამლოცველოდ
დაძრწიან მოგვნი და ღაღადებენ;
ერს წინ უძლვიან ჩირაღდნით ხელში
და ბნელით მოცულ გზას უნათებენ..,



ჩინებული აზრი

ქართული თეატრის აშენების შესახებ

ქართულ თეატრის შენობის უქონლობის გამო, ცხადია, ბევრს ქართველ მამულიშვილს ესერება გული. სრულიად საქართველოს სატახტო ქალაქში, ჩვენს დედა ქალაქ თბილისში, გუცქერით ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე კარგად გამოჭიმულ სახაზინო თეატრს და არტისტიულ საზოგადოებისას. ვუმზერთ და შორიდან თვალები გვებრიცება, თითქოს გვეხარბება, ზოგს შურიც შეგვეპარება, რომ ჩვენ, ჩვენს საქართველოს გულში, საკუთარი შენობა არა გვაქვს და სხვებს კი, მოსულებს მჭიდროდ მოუკიდნიათ ფეხი.

გასაკვირველი არ არის ამ ჟამობებში, თუ ბ-ნი თეატრის მეგობარი „საქართველოს" 22 ოქტომბრის ნომერში, ერთი შესედვით, ფანტაზიურ წინადადებას იძლევა თეატრის აშენების შესახებ. იგი მოკრძალებით და მორიდებით გვიზიარებს თავის აზრს და, თითქოს, თითონაც არა სჯერა, რომ მისი აზრი განხორციელდება.

მერე რატომ? იმიტომ რომ თითონაც უთუმანობს. არსებითად კი სრულებითაც ძნელი სა-

ქმე არ არის სამი მილიონის შეკრეფა.

რა თქმა უნდა ნაცარქექიათვის სულ პატარა საქმეც დიდი და ძნელი საქმეა: მათთვის ჩხირი ტიკის ხეა და, აბა, როგორ მოჭიდებენ ხელს, რას აიდებენ ხელში?

ენერგიული ხალხი კი დიდ საქმესაც გასუმბუქებს. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.

ნუ თუ სამი მილიონი ვერ უნდა შეკრიფოთ ჩვენი ეროვნული დიდი საქმისთვის?!

საქმე სურვილია, საქმე სულით და გულით მონდომებაა, თორემ კი გამოხნდება სალხი, რომელიც შესძლებს ამ საქმის დაწყებასა და კეთილად დაგვირგვინებას.

საწერო შესდგეს კომიტეტი, რომ მალშიც შეკლენ მხნე, ენერგიით სავსე და გამჭრიახე პირნი.

კომიტეტს უნდა ჰყავდეს უფასო და ფასიანი აგენტები. მილიონ ნახევრის ბილეთებს ზოგი პირდაპირ კომიტეტის წევრებისაგან გაიწერს, ზოგსაც დაურიგებენ იმ უფასო იდეურ აგენტებს, რომლებიც სულით და გულით მოეკიდებიან ამ საქმეს.

აქ უნდა დავიხმაროთ ყველა კოოპერატიული საზოგადოებები, თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის უფროსი კლასელები, მთელი ჩვენი სტუდენტობა, ქართველ ქალთა გიმნაზიის და დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის უფროს კლასის მოწაფენი და სხვა და სხვა ტოცხალი ძალები, რომლებიც მთელ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გაფანტულებენ ბილეთებს.

დარწმუნებული ვარ, დასავლეთ საქართველო არა ნაკლებ მხურვალე მონაწილეობას მიიღებს აღმოსავლეთ საქართველოზე. რაღაან მათ კარგად აქვთ შეგნებული, თუ საზოგადოდ თბილისს რა მნიშვნელობა აქვს მთელი საქართველოსთვის.

მილიონ-ნახევრის ბილეთების გავრცელებას კი, ფასიანი აგენტების საშუალებით, ისე უნდა მოხდეს, რომ ეფელ გაუოდულ ბილეთზე 10 პროც. მათი იყოს. ეს სულ 150,000 მან. დაჯდება. ასე რომ სახარჯოთ, მოუდოდნელ თუ მოსალოდნელი, 50,000 მან. კიდევ დაგვრჩება, თუ სხვა ციფრებს ბ. ოკატის მეგობრისას მივიღებთ

ნელი.

„კასპიის ზღვის ტალღებმა იცის!!.“

1

იგი კასპიის ზღვის პირს შემხვდა!!

ჯვირანივით მოაბიჯებდა მხურვალე სილაზე, და ძვირფას ჩადრში გახვეული, ლურჯ ზღვის სივრცეს გაჰყურებდა.

პირისახე დაფარული ჰქონდა, მხოლოდ შავი, მაყვალივით შავი თვალები უჩანდა.

ბავშური და უცოდველი იყო მისი სევდით სავსე თვალები...

მივაშტერდი საიდუმლო ასულს. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდენ..

რაღაც ნაცნობი, ნათესაური იყვენ ის სევდიანი შავი თვალები.

სადღაც მენახა, სადღაც დამეჭირნა მისი კვესა, მისი ნაპერწკალი..

ტანში გამაჟრჟოლა. გიჟივით ჩავშტერდი იმ ორ სიცოცხლითა და საიდუმლოებით სავსე გამოქვაბულს, რომელიც თვისკენ მიწევდა, მწვავდა, მდაგავდა.

მან სევდით გადმომხედა, თავი დახარა.. ზღვისკენ გასწია.

ოჰ, კასპიის ზღვის ტალღებო, შენ, შენ მიიზიდე იგ! მიიზიდე შენი საიდუმლო დუდუნით და ისედაც აუხსნელი ამოცანა, უფრო რთულ საიდუმლოდ გადააქციე..

და მომხიბლავი, აუხსნელი ამოცანა წინ დამიყენე, რომელიც შენი ტალღების დუდუნთან ერთად უნდა ამეხსნა, მარა?!! ეხ, შენ შეგშურდა, შეგშურდა გამომეტაცა ამოცანა შენს სარეცელზე!!.

ჰო, და მიაშურა ზღვის ნაპირს.. ობოლმა ნავმა აიტაცა მისი სხეული და შეტ ვტივ და ლურჯ სივრცეში.

მეც ვიქირავე ნავი და შევცურდი ზღვაში.

ახლოს, სულ ახლოს მისცურავდენ ჩვენი ნავები. ახლოს, სულ ახლოს ვგრძნობდი მის ტანს, მის სუნთქვას..

მისი თვალები, კუპრივით შავი თვალები, ხომ მწვავდა, მდაგავდა.

ჩამავალი მზე უზვად ისროდა მწველ თაიგულებს:

ზღვა წყნარი იყო. გულჩათხრობილი ისმენდა მისი ტალღები საღამოს ზღაპარს.

მე მთლად გამიტაცა საიდუმლო ასულმა.. იგი მომჩერებოდა.. თვალები მისი თვისკენ მიწვევდა.

მე გაშტერებული მივჩერებოდი., ვერ შევნიშნე, ჩემი ნავი როგორ დაეჯახა მისას და მე ზღვის ლურჯ ტალღებში გადავეშვი.

მან ნელა იკივლა. მენავეს რ ლაცა ანიშნა.

წამი და მენავემ საქე გამომიშვირა.

მე ნავში გავჩნდი.

— ნაპირისკენ!, დაიძახა ასულმა.

— არა მიჰისრა, მზე ცხოველია, გავშრები

— არა, გაცივდებით.

— მე მზის სხივები მალე გამაშრობს, სანამ ნაპირამდე მოვდიოდეთ, მე გავშრები, მარა შეიძლება, თქვენ არა გნებავთ თქვენს ნავში დავრჩე, მაშინ შემიძლია ჩემს ნავამდე ცურვით მივიდე,— და მოვინდომე ზღვაში გადაშვება.

— შეჩერდით! —და ვიგრძნე ორი ხელი, რომელიც ყელს შემომეხვა..

— გიჟი ყოფილხართ, განა შეიძლება ზღვის ტალღებთან აგრე ხუმრობა?! ისინი დაუნდობელნი არიან.

— როგორც თქვენისთანა ასულები.. დავუმატე: მარა მაინც იზიდავენ ადამიანს.

— ჰო, ასე იცის! ყოველივე დაუცხრომელი, ლამაზი, საიდუმლო, იზიდავს ადამიანს.

— ჰო, მართალია, აი მეც მიზიდავს საიდუმლოება თქვენი პიროვნებისა! რათ აგიფარებიათ ჩადრი?! განა ცოდო არ არის ბუნებას დაუმალოთ მშვენიერება?! აქ ზღვის სარეცელზე, არა თუ სახის დამალვა, ტანის დაფარვაც ცოდვაა.

— ალბათ მე თქვენ ხშირათ მინახვიხართ ქალაქში.. აგარაკზე დიდხანს დარჩებით?!

— სტუმრათ ვარ, ორი დღის შემდეგ წავალ.

— ორი დღის შემდეგ!? ეგრე ჩქარა რათ?! ჩაფიქრდა!! ხელი გააქნია: საკმარისია, წამოიძახა, და თვალებში მომაშტერდა. ნავი კი ნაპირისკენ მისცურავდა.. ნელა ბუტბუტებდა ზღვა, ნელა დუდუნებდა ტალღები.

— მაჩვენეთ თქვენი სახე! ბავშვივით შევევედრე.

სევდით გადაიქნია თავი.. თვალებში მომაშტერდა.

— აი, ჩემი სახე! და დიდი შავი თვალები ცრემლით აევსო.

ნაპირს მივცურდით..

— წადი, ტანისამოსი გამოიცვალეთ და საღამოს, მთვარის შუქზე ზღვაზე გავისეირნოთ..

ხელი დამიქნია. მე დავმორჩილდი.. რაღაც დიდი საიდუმლოება იყო ამ უცნაურ ასულში, მის უცნაურ ქცევაში. მე ვიწვოდი ამ საიდუმლოებით, ვიწვოდი და ვერ მანელებდა ზღვის სიახლოვე, ვერ მანელებდა სველი ტანსაცმელი..

ფიქრებით დატვირთული შინისკენ გავსწიე და ჯადო ასული, მშვენიერი მუსულმანის გოგონა, ჩადრში ხვეული, ოცნებას არ შორდებოდა, მწვავდა, მაჯნობდა.

2

— მოხვედით?! შეხედეთ, ზღვაზე როგორ ამოდის მთვარე! რა კარგია!

მივაშტერდი ზღვის ტატნობზე მორცხვად ამომავალ მთვარეს..

მორცხვად, ტიტველი ამოდიოდა ისპ ის ზღვის ტალღებიდან...

ჩავსხედით ნავში, გაისრიალა, ათამაშდა ნიჩბები.

— აი, იქ გავედეთ, ხედავ, მთვარის ზოლში, იქ ხომ მთვარე უხვად აბნევს სხივებს, იქ გავიდეთ, ვიბანაოთ მთვარის სხივებს შორის.

— კარგი, მითხრა და ამოიოხრა.

როცა შორს გავცურდით, ნავი შევაჩერე. მივეცით ზღვის ნელ ტალღებს ნებას:—ნელა ქანაობდა ჩვენი ნავი. ნელა მოსთქვამდა ზღვა. ნელა ოხრავდა ასული. მე მის ახლოს, სულ ახლოს ვიყავ. მისი ტანი მეხებოდა, მისი ხშირი სუნთქვა მახრჩობდა. ხელი დავუჭირე. იგი ჩუმად იყო. წამი, და მის თეთრ თითებს გიჟივით დავეწაფე.

იგი შეკრთა, შეტოკმანდა ახალგაზრდ

— მითხარი. ვინა ხარ?! წავილუღლუღე

მან თავზე ხელი გადმისო. მე ნავში გავიშოტე და მის კალთაში თავი ჩავსდე.

— ნუ მკითხავ, განა შენთვის სულ ერთი არ არ.ს ვინა ვარ?! მიპასუხა: მე შენი თხოვნით, არაფერს არ შევასრულებ! ჩემო, ნურაფერს მკითხავ, ნურაფერს.

— მაშ, სახე აიხადე. მე მინდა დავინახო, შენი სახე!!

— ნუ, ნუ. ალახსა ვფიცავ, მე ერთი უმშვენიერესი ასულთაგანი ვარ, ახალგაზდა. ჩემი წლოვანება ჩვიდმეტი ბაირამით განისაზღვრება; არა გჯერა?! ჰო, ვიცი, ვიცი! მე შემიძლია დაგარწმუნო. და მან აიხადა ნახევარი სახე თვალებამდე. წითელი ვარდივით ულვიოდა ტუჩები, რომელსაც გიჟივით დავეკონე, სახე კი კარგად ვერ გავარჩიე...

— გიყვარვარ? ჩავეკითხე.

— ნუ მკითხავ, ნუ მკითხავ! რაც საკითხავი არ არის. რათ გინდა გაიგონო ჩემგან ის, რასაც შენი თვალით ხედავ.

განა კიდევ გინდა სიყვარულის დამტკიცება?!. და ტუჩებში მაკოცა.

და თრთოდა მისი ახალგაზდა ტანი და ირწეოდა ნავი, ზღვის ტალღებში თავისუფლად მოცურავი. მთვარე კი თავის სხივთა თაიგულში გვხვევდა და ისიც სწუწნიდა ასულის ტუჩებს, ისიც ეკვროდა ახალგაზდა ტანს.

3

და ნელა ქვითინებდა ზღვის ტალღები.. წითლად ანათებდა მთვარე. ჩვენი ნავი ოდნავ ირყეოდა და მე მის გულზე მიყრდნობილი ნელა ვთრთოდი.-

— იცი, რაღაც, ტალღები ნელა ოხრავენ, ცის ტატნობი ჩრდილოეთით მოღუშული ნორდს *) გვიმზადებს! შორს გაიხმაურა ტალღებმა.

— რა კარგია. წინ, წინ მივუახლოვდეთ მოცეკვარ ტალღებს!! შენ ხომ არ გეშინია ტალღების! — დამეკითხა...

ახმაურდა ლურჯი ტალღები... ნავმა თამაში იწყო...

შორიდან ქარის ზუზუნი ჩამესმა.,. მარა, მის ზუზუნს არად ვაგდებდი, ზღვის ღელვას ყურს არ ვუგდებდი...

ასულის გულის ცემა მათრობდა, ასულის ტანის სიახლოვე მწვავდა. .

ასულის მწველი ტანი სულ ახლოს მდაგავდა...

ტორტმანებდა ნავი, ზუზუნებდა ქარი და ასულის ხელები კისერზე ვიგრძენ.

წამი, და ჩვენ ორივემ გონი დავკარგით-

. . . . . .

გამოვერკვიე...

ჩუმად წამოჯდა იგი.

გაიზუზუნა ქარმა.., შეკრა ტალღები, დაეჯახა ჩვენს ნავს და შხეფნი შემოგვაშხურა, თითქო ამან გამოარკვია ასული, იგი უცებ კისერზე დამეკიდა.

— ნუ, ნუ შეგზარდები, ნუ, და ქვითინი აუვარდა.

თავზე ხელი გადუსვი და გულზე მივიკარ.

— შენ, შენ, — დაიწყო მან: შემოგწირე ჩემი პირველი სიყვარული, სიხარული; შენ წაიღე ჩემი კისკისი, სიცილი, შენ რომ გნახე, მას აქეთ ღიმიც ალარ მინახავს. შენ შემოგწირე ჩემი მომავალი, შენ შემოგწირე ის, რაც ჩემთვის უძვირფასესი განძი იყო: სიქალწულე. და, ამით ჩემთვის ყველაფერი გათავდა.

მარა არ ვნანობ, მე უზომო ბედნიერი ვარ!! შენ შემოგწირავ იმასაც, რაც ჩემთვის კიდევ დარჩენილა უძვირფასესი და, რომელიც ჩემთვის არაფრად ალარა ღირს. შენ შემოგწირავ! — და იგი ზეზე წამოდგა: შენ შემოგწირავ ჩემს სიცოცხლესაც! — ესა სთქვა და იგი აღელვებულ ზღვას შეუერთდა. .

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო მასწავლებელო, მე ხომ შენი მოწაფე ვიყავ! ეს ღა გავიგონე და იგი ზღვის ტალღებმა შთანთქა.

მეც გადავეშვი, მარა ამაოდ, იგი ვერსად ვიპოვე ..

დაძმარებული გავჩნდი ნაპირას... თვალი მოვავლე მოკვთინე ზღვას!! ცრემლები მარჩობდა... საშინელ სიძულვილს ვგრძნობდი ზღვისადმი, რომელმაც ესოდენ ნეტარებასთან, ესოდენი ტანჯვაც მარგუნა.

*) ნორდი — ჩრდილოეთის ქარი.

4

დაქმარებული მიველი სექტემბერში გიმნაზიაში. საიდუმლო ასული ხომ წინ მედგა. ვერ ამეხსნა, თუ ვინ იყო.

ვინც იმ დღეს არ იყო, ვკითხულობდი მიზეზს არ ყოფნისას ..

როცა ერთ კლასში ვიკითხე, მიპასუხეს:

— ლეილ, აჯ—ვის ასული, ბატონო მასწავლებელო, ამ ზაფხულზე ზღვაში დაირჩო! — და მოწაფე აქვითინდა.

— განა, ბატონო, არ გაგიგიათ. დაუმატა მეორემ...

— ლეილა, დაირჩო? — ელვასავით მეცა, როგორ, ჩემი საყვარელი მოწაფე, სიამაყე მთელი კლასისა, ვარდი მთელი სასწავლებლის; როგორ? და მივხვდი, გავიგე და მწარეთ ავქვითინდი,

და ჩემთან აქვითინდა მთელი კლასი... ისინი სტიროდენ საყვარელ მეგობარს, მე კი ვიგონებდი იმ ტრაღედიას, რომელიც ლეილას ჩემით გადახდა...

მარა, ვინ იცოდა საიდუმლო ჩემი გულისა.

არავინ!

მხოლოდ წითელმა მთვარემ და კასპიის მოდუღუნე ლურჯმა ტალღებმა!!

[illegible]

* * *

(სიმღერა)

გინდ ცის კიდეს დამემალო,
არ მაღირსო შენი მზერა,
მაინც შენთვის საქებარად
ამ ჩანგურის ისმის ღლერა!
გინდ დადუმდე, შვენიერო,
არ მასმინო ეგ ხმა ტკბილი,
მაინც გეტყვი: ღვთაება ხარ,
თვით ზეციდან მოვლენილი.
გინდ სიზმრათაც არ ვიხილო
ეგ თვალები, ან ეგ სახე,
— არ ვინაღვლი: ამ გულში ხარ,
რა კი ერთხელ დაგინახე!..

Sirano

(ვ. [illegible])

კრიტიკული შეცთომები

IV

აკაკი და ილია.

როცა აკაკისა და ილიას პოეტურ ნიჭს ერთმანეთს ადარებენ, ფიქრობენ და ამბობენ ხოლმე, რომ აკაკის ბუნებრივი ნიჭი აქვს მგოსნობისა, ხოლო ილიას — არაბუნებრივი, ხელოვნური, აკაკი თავისუფალი, ბუნებრივათ ქმნის ხოლმე პოეტურ ჰანგებს, ხოლო ილია — ხელოვნურათ, შრომითა და ოფლიანათ...

უსაფუძვლოა ამგვარი მსჯელობა. თუ მგოსანს ბუნებრივი, ბუნებით დაყოლილი პოეტური ნიჭი არ აქვს, ის ვერავითარს გრძნობიერს, ვერავითარს გულთაგმირავ ჰანგს ვერ შექმნის, რამდენიც უნდა იჯაჯგუროს და ოფლი დვაროს, და თუ პოეტური ნიჭი აქვს, მისი ნიჭის ღირსებას იმით კი არ უნდა ვზომავდეთ და ვაფასებდეთ, თუ რამდენათ დაუყონებლათ, სიჩქარითა და სასწრაფოთ აწყობს იგი რითმებს, თხზავს ლექსებს და პოემებს; არამედ იმით, თუ როგორი გრძნობიერობით და როგორი სიმშვენიერით ქარგავს და გალობს იგი პოეტურ ჰანგებს.

ორგვარია შემოქმედების ბუნება და ხასიათი: ზოგი მგოსანი უცებ ადტყინდება, უცებ იფეთქებს ხოლმე და უცებვე გადააქვს ქაღალდზე თვისი ფიქრები და გრძნობები — და მერე უკანაც აღარ მოიხედავს, დაწერილის შესწორებისა და შელამაზების სურვილიც აღარ აქვს: ასეთი იყო აკაკი. ზოგიერთი მგოსანი კი დიდხანს ატარებს ფიქრსა და გონებაში ერთხელვე აჩემებულ საგანს — და მხოლოდ შემდეგ დაჯდება „წერად ანდერძისა“, და როცა სწერს, მაშინაც კი მძიმეთ ოცნებობს, მძიმეთ გრძნობს, დაწერილს ხშირათ უკან უბრუნდება, რაც არ მოსწონს — ასწორებს ხოლმე... „ასჯერ გაზომავს და ერთხელ გადასჭრის“: ასეთი იყო ილია.

და თქვენ გგონიათ, რომ ილია, როგორც მგოსანი, სცოდავდა „ბუნებრიობის“ წინაშე? სრულიადაც არა! ბუნებრიობა პოეტურ გრძნობიერობაშია და არა პოეტურ სიცქვიტეში. „გრძნობიერობა“ — აი უმთავრესი საფუძველი პოეზიისა, და ამ მხრით ხომ ილიას გრძნობა ბევრათ უფრო ღრმაა, ვიდრე აკაკისა. ილიას ნაგრძნობი და ნაწერი — შოთას თქმისა არ იყოს —

„ვინცა ისმინოს, დასვენს დასვარი, გულსა ხუ-
ულო!“ იდიას ნაწერებში მრავალია ეროვნობიერი
მაშასადამე პოეტური ადგილი, რომელიც გულის
სიდრმეს სწვდება და გრძნობის ნერვებით მთელ
სხეულს ეროვნტელთ ედება ხოლმე. ავკის ჭინ-
კები დამაზი და სუბუქია, მაგრამ გულის იმ
სიდრმემდი ვერ ჩადის და ისე მძლავრთ ვერ
ატოკებს გულსა, როგორც იდიასი.

აქ შესაფერთ მიმაჩნია გავახსენო მკით-
ხველს ჩემი აზრი იდიას და აკაკის სტილის
შესახებ: “იდიას ენა-სტილი მძიმეა —როგორც
ქვა, მაგარი—როგორც ტინი, კამეჩივი —რო-
გორც ტეკა; აკაკის სტილი სუბუქია — როგორც
ფრუბელი,რხეულია—როგორც მინა, სრიალა—რო-
გორც ოსარი. ბირველის სტილი მედგრთ არდგეს
გულსა და გონებას და მტკიცეთ ნერგავს შიგ მგონ-
ნის ეროვნობებსა და აზრებს; მეორის სტილი
ტკბილთ უქრიდავს და უალერსებს სმენასა და
ოცნებას. ერთი საშხედრო გემსა გავს, რომელიც
უშიშრთ არდგეს მშოფოთარ ტალღებს, მეორე—
გასართობთ სატარებელ ნავსა, რომელიც ტალ-
ღებს შორის სუბუქთ დასრიალობს, ბირველი
მთ დაჯახებას ერიდება, უშმაურთ მიმო-
ცურავს, მძიანავრე ზვირთებს—ისიც იშვია-
თად— ალნავ გვერდს ეფხანს“... („მკვდელები
და მტვდელები“, გვ. 20).

აკაკი მე-19 საუკუნის შოთა რუსთველია,
სოქვეს მის დაკრძალვაზე.

უსაფუძვლო ნათქვამია.

შოთა ღრმა აზრებითა და ძლიერი გრძნო-
ბით არის შესანიშნავი— და ამ მხრით, როგორც
ზვეით ვსოქვი, იდიას უფრო ახლოს დგას შო-
თასთან, ვიდრე აკაკი, და შოთამ კიდევ გძელი
პოემით და ამ პოემაში დიადი ტიპების დასუ-
რათებით გამოიჩინა გენიოსური ნიჭი, და ამ
მხრითაც იდიას აკაკიზე ბევრთ უფრო უახლოვ-
დება შოთა რუსთველს: იდიას სწორეთ თავისი
პოემებით არის სახელოვანი („კვლია ადამიანი“,
„პაკო ვაჩადი“, „კანდეკიდი“ და სხვ.), რომ
ფებშიაც საუცხოოთ დაგვისურთა მრავალნაირი
ტიპი

იდიას, მართალია, აკაკის ვერ შეედრება
დიალიკული წერილი ფექსებით: ამისთანა საუცხოოს
პოეტურ ჭინკებს, როგორიც, მაგალითად, აკაკის
“კანთიადში“ შოისმის („მოაწმინდა ჩაფიერებუ-
ლი“), იდიას ფექსებში ვერ იპოვნით, მაგრამ,
სამაგიეროთ, ისეთი ძლიერი გრძნობები და სუ-
რათები, როგორიც იდიას „კაკო უჩადში“,
„კანდეკიდში“ და სხვა პოემებშია, აკაკის არც
ერთ პოემაში არ მოიპოვება.

ამ სახით, იდიას უფრო ჩაითვლება შოთას
მონათესავე შემოქმედთ, ვიდრე აკაკი. შოთას
ნათქვამია: „შოშაირე არა ჭქვიან, ვერას იტეკის
ვინცა გრძელდა“. გძელის, მრავალმხრივის დიადი
პოემისა და მოთხრობის დაწერას განსაკუთრებული
ნიჭი და ტემპერამენტი უნდა—და ეს ნიჭი აკა-
კის არ ქონდა: ის მხოლოდ წერილი დარიკული
ფექსებით არის დიდებული—და მათ შორისაც
მხოლოდ რამდენიმე აქვს შესანიშნავი, თუმცა
მრავალის უმრავლესი დაუწერია.

მე წინასწარმეტყველი ვარ იმისა, რომ რუსთვე-
ლობა ვისმე ვაკუთნოთ; მაგრამ, თუ მაინცა და
მაინც ვნებავთ იდიასა და აკაკის შორის არჩევა-
ნი მოვახდინოთ, ჩვენი დროის „რუსთველობაში“
არჩევანი იდიას უნდა ხვდეს, ხოლო არადანი—
აკაკის. ესეც იმ პირობით, რომ იდიას შესაძე
რუსთველთ ჩაითვალოს, და არა მეორეთ: შოთას
შემდეგ მეორე ადგილი უსტიდოთ ნიკოლოზ
ბარათაშვილს ეკუთვნის

სოფანი.

ნეტავი იმას

(ნ. ბარათაშვილის ხსოვნას)

ნეტავი იმას, ვინც ამა სოფლად
დაუვიწყარი ხსოვნა დასტოვა;
ნეტავი იმას, ვინც ხალხის გულში
სამარადისო სიცოცხლე ჰპოვა.
ნეტავი იმას, ვინც წმინდა საქმით
დაიდგა ძეგლი უკვდავების:
ქვეყნად ყოფნისას მოსილი დ ფნით
დღეს ის გამხდ რა მნათობი ცისა!..

კ. ძიძაძე

ბედნიერება

ბედნიერება ცის სივრცეა განუზომელი,
ბედნიერება ვარსკვლავია მიუწდომელი,
ბედნიერება ძალა არის უკვდავების,
ბედნიერება ძალა არის თვ თ განგების ..

ლ. ბედევანიშვილი

ნ. გარათაშვილს *)

ოდეს სამშობლოს ლაჟვარდ ცაზედა
ნელ-ნელ ჰქრებოდა მზე სხიოსანი,—
ოცნებით იყო გატაცებული
მთაწმინდის მთაზე ერის მგოსანი.
გადმოჰყურებდა მშვენიერ მინდვრებს,
ედემის მსგავსად აყვავებულსა;
მის სილამაზე, სიტურფ-სინაზე
ნათელსა ჰფენდა მის უკვდავ სულსა.
ის მაინც სწუხდა, სწვიმდა და ჰქუხდა,
გულ-დათალხული იდარ მზეობდა,
ობლად შთენილსა, დრმად მოწყენილსა,
ფიქრთა ქარვანი შემოხვეოდა.
იგი განსჭვრეტდა—შავ ღრუბლებს ჰხედდა,
სევდით მოცული, დადონებული,
ჰხედავდა, რომ ცას მთლად აბნელებდა
პირ-სისხლიანი ბოროტი სული,
აყლერდა სიმებს, უძახდა გმირებს...
სატრფოს შაშველად არვინ ჩნდებოდა;
ციური სული, სატრფოს ერთგული,
გამცემელთ შორის იჯდა იტანჯებოდა;
კაეშნიანი, შუბლ-დაღიანი
მტკვრისა ნაპირას იარებოდა;
მნათობ მთვარესა, მონარნარესა,
სამშობლოს სხნასა ეაჯებოდა.
მაგრამ ყორანი, შავი ფრთოვანი,
თავს დასჩხაოდა მგოსანს, ვერანი.
წასასვლელადა, შორს სავლელადა
სწრაფლად მოკაზმა ბარდი მერანი.
ერს ჩამოშორდა, კერას განშორდა,
სახლში რის ნახა უცხო, ეული;
რომ არა ეწამნათ, არ გაეწამნაო
შორს მიასვენა თვისი სხეული.
მის წმინდა სული, ზეცას ასული,
თავს დაგვტრიალებს ვით მზე მშუქარედ,
როს ჩვენში ხედავს არარაობას,
ჩვენთვის ტანჯული ქვითინებს მწარედ...
მიტომაც დღესა—მეასე წელსა,
ცრემლით ვასველებთ ჩაფერფლილ ძვლებსა:—
ჩვენ შრომის შვილნი, ტანჯვით აღზრდილნი,
ამაყად ვებრძვით მის მჩაგვრელ მტრებსა!..

გ. შინატეხელი

*) ეს ლექსი გასულ კვირას ავტორს ნ. ბარათაშვილის სამარესთან უნდა წაეკითხა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ეს ვერ მოხდა. რედ.

ქართველი მუსულმანი
ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე
(იხ. ქვემორე წერილი)

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქართველ მუსულმანთა შორის ეროვნულ გამოფხიზლების მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორს უკვდავი დარჩება... მისი საღი ქკუა, განშორებული სარწმუნოებრივ **მიბრჯნიდობას** (ფანატიზმს), ძლიერ მალე მიხვდა ქართველ მუსულმანთა ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ხმა-მაღლა, თამამად და მოურიდებლათ იწყო ქადაგება თავის თანამოძმეთა შორის ქართული ეროვნულ შეგნების შესახებ... და ხმა მისი არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... გამოიღო ნაყოფი.

ამ დღეებში ბ. ჰაიდარ-ბეგმა თავი დაანება მასწავლებლობას ბათომის სკოლაში და სხვა, უფრო ხელსაყრელ და დიდს, საქმეს მიჰყო ხელი... საინტერესოა ის გარემოება, რამაც მსწრაფლ იძულებულ ჰყო სამსახურისთვის თავი დაენებებია. ჰაიდარბეგი იმ აზრს ჰქადაგებს, რომ ქართველ მუსულმანებმა თვისი მუსულმანური სული თვის **დედაენაზე**, სახელდობრ **ქართულზე** ისწავლონ. საცოდავია ქართველი მუსულმანის ბავშვის მდგომარეობა: ხოჯა და მოლა მას აზეპირებინებენ ლოცვებს **არაბულ ენაზე**, მოთხრობებს მაჰმადის და სხვათა შესახებ ასწავლიან ოსმალურ ენაზე, სკოლაში სწავლობენ **ქართულს** და **რუსულ ენებს**. ოთხი ენის შესწავლა უხდება ერთსა და იმავე დროს-

მეტად მეხანიკურია და შეუგნებელი არაბულ ლოცვათა შესწავლა აქ არ არსებობს არავითარი მეთოდი, არავითარი პედაგოგიური ცდა..

ჰაიდარ-ბეგი კი იმას ამბობდა, რომ ქართველმა მუსულმანმა სჯული, ლოცვებს გარდა, ქართულად ისწავლოს; ხოჯაც ქართული ენის მცოდნე იყოს და უქადაგოს მრევლს **ქართულ ენაზე** და არა ოსმალურზე, როგორც ეს სჩვეულებრივ დღევანდელ ხოჯების უმეტესობას. ხოჯა უნდა იყოს ამ სახით ქართულ ენის გამავრცელებელი და არა მისი მტერი. მეჩეთში უნდა გ ისმოდეს **ქადაგება ქართული**... ქართული ენა, არა თუ დაბლა სდგას ოსმალურზე, არამედ მაზე მდიდარიცაა თავის ლიტერატურით...

ეს თავის აზრი მან გამოსთქვა ამას წინად გორაში ხოჯათა კრებაზე. ვიღაცამ ინება მისი დაბეზღება მთავრობასთან, რომელმაც ბ. ჰაიდარ ბეგს საყვედური გამოუცხადა. ამის შეოხებით ჰაიდარ-ბეგმა სამსახურს თავი დაანება... მაგრამ ეს არაფერია...

მის მიერ გამოთქმული და დასაბუთებული აზრი—მუსულმანურ სჯულის სწავლების და ქადაგების წარმოების შესახებ **ქართულ ენაზე** ფესვებს გაიდგამს, დიდ ხედ იქცევა და ნაყოფს გამოიღებს. რამდენიმე ხოჯა და მოლა გულწრფელი მომხრეა ბ ნი ჰაიდარბეგის აზრისა.

შენი **ჩაქუჩი.**

სასაფლაოზე

ყველა საფლავის ქვის ქვეშ—
მარხია მთელი ქვეყნიერება

ჰეინე

სასაფლაოზე მოვსწყვიტე ვარდი,
მოვსწყვიტე, მოვკალ, ვუმღერე ნანა
მოვკალ, რამე თუ მის ქვეშ მარხია
მთელი სამყარო, მთელი ქვეყანა.
დავსწყევლე ლოდი, რომელზეც ვზივარ,
ვზივარ და ვაფრქვევ ცრემლებს მდუღარეს,
დავსწყევლე, რადგან ის გაიჭედა
ნგრევისა ჟამსა, ჟამსა მწუხარეს...
— რათ უნდა ვარდი სულს დამონებულს
რათ უნდა ლოდი ფარავდეს მკვდარსა,—
რათ დასცინიან ყოფნისა აჩრ ილს,
რათ დასცინიან იმედს დამჭნარსა!..
და მე მოვსწყვიტე ვარდი საფლავზე,
მოვსწყვიტე, მოვკალ, ვუმღერე ნანა,—
მოვკალ, რამეთუ მის ქვეშ მარხია
მთელი სამყარო, მთელი ქვეყანა!...

ტალლა

განათლების მოღვაწე

გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი

(45 წ. სამწერლო-სამასწავლებ. მოღვაწეობის გამო).

ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე გასულ საუკუნეს ისეთ პირობებში ჩასწურთეს, რომ თამამად ითქმის: ხალხში სინათლის მაგიერ სიბნელე შედიოდა, ჭეშმარიტ მოქალაქე და ხალხისთვის მზრუნველთა ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში, გადაგვარებული, აკაკის სიტყვით რომ ვსთქვათ: „გამოსუქინსინებული“ თაობა გვეზრდებოდა... და ასეთ გაუკულმართებულ მიმართულების განმტკიცებას უმ ღლესი სასკოლო მმართველობა, ხშირად, თვით ქართლოსიანთა შვილების დახმარებით ცდილობდა...

ერს სწყუროდა **სამშობლო** ენაზე სწავლა, **სამშობლო** ენით **გაადამიანება**, **სამშობლო** მწერლობისა და ისტორიის შეგნება, ამის ნებას კი არ აძლევდენ,—პურის ნაცვლად ქვას აწოდებდენ, განათლების უკვდავების წყაროს ნაცვლად შხამს ასმევდენ...

და ასეთი მიმართულების ნაყოფს ხომ დღესაც ვიმკით:

დიპლომიანი და უვიცი, ხორციელად შემკული, სულიერად დახშული,—ისე ხშირად ვის „ამშვენებს“, თუ არა ჩვენ?!

მაგრამ ამ მძიმე ხანშიაც იყვნენ ზოგიერთი ისეთი ქართველი მასწავლებელნი, რომელნიც მშობელი ერის წინაშე თვისს მოვალეობას არ ივიწყებდენ და ქართველ მოზარდ თაობას სამშობლო ენას და მწერლობას ხშირად „შეპარვითა“, ასე ვ'თქვათ, კონტრაბანდათ აზიარებდენ.

ერთი ასეთი ცნობიერი ქართველი მასწავლებელთაგანია გ. ნ. იოსელიანი.

გ. იოსელიანი დაიბადა ს. წყალტუბოს, ქუთაისის გუბ, 1847 წ. მამა მისი ნიკოლოზი იმერეთის უბრალო მშრომელი აზნაურთაგანი იყო, რომელმაც თვისი გიორგი ქუთაისის სასულ. სასწავლებელში მიაბარა. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ, გიორგი ბეჯითი სწავლა-მეცადინეობის წყალობით გადმოიყვანეს თბ. სასულ. სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მთავრობის ხარჯით

მოსკოვის სასულ. აკადემიაში გაიგზავნა, სადაც 1871 წ. დაამთავრა კურსი კანდიდატის ხარისხით და მაშინვე, უწ. სინოდის განკარგულებით, თბ. სასულ. სემინარიის მასწავლებლად გამწესდა. (მუნ რავდენსამე ხანს ინსპექტორობდა კიდეც) 1873 წ. მიიწვიეს ახალდ დაარსებულ საოსტატო ინსტიტუტში, სადაც 16 წ. დარჩა. აქ უფროსთან ეროვნულ ნიადაგზე (მეგრელთა საკითხის გამო) კამათი მოუხდა: ბოლოს დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ ინსტიტუტს თავი გაანება და ცალკე პანსიონი დააფუძნა, მაგრამ მალე მიიწვიეს თბ. სათ.-აზ. სასწავლებელში; ამავე დროს პირველ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას, უკანასკნელ ხანებში მიიწვიეს ხაშურის გიმნაზიაში.

მასწავლებლობის გარდა, გიორგი მონაწილეობდა ქართულ საგანმანათლებლო საზოგადო დაწესებულებებში, თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და თავის წერილებით თანამემამულეთ ყოველთვის ეროვნულ-საზოგადოებრივ გრძნობებს უღვიძებდა; შეადგინა სახელმძღვანელოები („მოკლე ლოლიკა", „საღვთო ისტორია", „ლოცვანი", „საქართველოს ეკლესიის წმიდანები", „ყმაწვილების მოვლა-აღზრდა"), მოზრდილთათვის გადმოაკეთა „ვეფხის ტყაოსანი", რუსულიდან სთარგმნა „რეინიკე კუდა მელა" და სხ.

როგორც საუკეთესო მასწავლებელმა და ნამდვილმა მამულიშვილმა ძლიერ ბევრს ახალგაზდას გაუღვია გულში სამშობლოს სიყვარული და ხალხის სამსახურის ხალისი.

მისი ნამოწაფარის, აწ დამსახურებულ მასწავლებლის ალ. მირიანაშვილის სიტყვით, „გიორგის ეფასებდენ უგელა შოწაფენი განურჩეველად ერეგნებისა; მაგრამ ქართველების სიყვარული, რასაკვირველია, სჭარბობდა, რადგან ეგინი მასში ჭსედავდნენ განსაკუთრებულ მფარველს, დამრიგებელს და ერეგნულ იდეალების მატარებელსა და მქადაგებელსა".

დიალაც, რომ ასეთი აღმზრდელ-მასწავლებელი დიდი პატივისცემის ღირსია და ერიც მუდამ მადლობით მოიხსენიებს. ვუსურვებთ მას დღეგრძელობას ხოლო ჩვენს ქვეყანას მისთანა მრავალ მასწავლებელს.

იოსებ არიმათიელი.

იძულებულნი

დასასრული იხ. „თ. და ც." № 38-46

2 მღვდელი. აბა, მივიდე ენახო, მსუქანი თევზებია, რომელიც ამ ჟამად ჩვენს ბადეს მოედო, თუ არა? ეს ვინ? შენა ხარ, დონ-ენრიკოს? შენ „მდიდარი ღვთისნიერი", რომელმაც სანაქებო სახელი განითქვი მთელ ქვეყანაზე შენი გულ უხვობით და ურიცხვი შეწირულობით, უხვად რომ მოგქონდა ჩვენი სალოცავებისა და ინკვიზიციისთვის. რასა იქ, ჩემო ძვირფასო ენრიკოს? უსათუოდ შემთხვევით მოხვდებოდი აქ... კურთხეულმც იყოს ის შემთხვევა! ხა-ხა-ხა (იტინის)

სხვა მღვდლები. (იტინიან. ებრაელები არ აქცევენ. ყურადღებას და განაგრძობენ დოცვას).

2 მღვდელი. ეს ვილაა? დონ-ლაპეს.? შენც აქა ხარ? ალბათ სახელმწიფო დარბაზში საქმე აღარ იქმნებოდა, რომ დრო გიხელთნია და აქ მოსულხარ! ძალიან მოხარული ვარ! მაშინ რა მეშველებოდა, სიფრთხილისთვის რომ თავი არ დაგენებინა, შენს ადგილას მჯდარიყავ და სამოქალაქო საქმეებში ყოფილიყავ გართული როგორც ნამდვილი კათოლიკე?..,

მრავალნი მღვდელნი. ხა—ხა—ხა!

2 მღვდელი. აჰა, შენც აქა ბრძანდები, დონ-მენდეს? შენ ხომ საიდუმლო ჯაშუში ხარ, რომელიც ერთგულად ემსახურები ინკვიზიციას! იქნებ იმიტომ მოხვედი, რომ ებრაელები აღმოგეჩინა და ინკვიზიციისათვის გადაგეცა! თუმც მართალია ადრე ვერ მოხველ, ჩვენ მოგასწარით! მაგრამ არა უშავს რა: ჩვენ მოვიგონებთ შენს კეთილ სამსახურსა და მოგიზღავთ ისე, როგორც ეკუთვნის შენისთანა კაცს. ხვალვე დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში!

რამდენიმე მღვდელი (გადიხარხარხარებენ და ხითხითებენ), ხა—ხა—ხა! ხა—ხა—ხა! ხე—ხე—ხე! (შემდეგ შეჭყურებენ ებრაელებს და დასცინიან, ებრაელები ყურადღებას არ აქცევენ და განაგრძობენ დოცვას).

დონ როდერიგო (სდგას გამოქვაბულის ერთ-ერთ კუთხეში, ირგვლივ ეხვევიან აუარებელნი კათოლიკენი და მღვდლენი, რომელთ

ყამბობს): ეს ჩემი შვილი (უჩვენებს ენრიკოზე, რომელიც გვერდით უდგას) დამეგობრებული იყო დონ-ოლონსოს შვილებთან. ჩემს გულში არავითარი ეჭვი არ ბუდობდა, თუ ალონსო ურია იყო... რითი გაიგებ? ამ ნაირად ჩემი შვილი დამეგობრებული იყო მის შვილებთან. დღეს, ეს ჩემი შვილი, მოვიდა და მიამბო: ალონსოს შვილებმა მითხრეს, ჩვენი მშობლები დღესასწაულობენ, ვინაიდან დიეგოს ცამეტი წელიწადი შეუსრულდაო. უნდა უფეშქაშონ ბრავალნაირი ხაჭოქრები, გაუმხილონ დიდი და საოცარი საქმეებიო, — და ყველა ეს შუალამისას, ღამის თორმეტ საათზე. ამის გაგებაზე გულში ეჭვი შემეპარა. პირველი: რატომ მეც არ ვიყავ მიწვეული ნადიმზე? დღემდე ხომ ძალიან მეგობარნი და მახლობელნი ვიყავით ერთმანეთისა. და მეორეც ესა: ღამე, ამისთანა უდროო დროს რათ ამოურჩევიათ მეთქი? დაუწყე ჩემ შვილს გამოკითხვა, და რამდენიმე კითხვის შემდეგ, ბოლოს მიამბო, რომ გამოქვაბულში ყოფილიყო ალონსოს სახლ ქვეშ, და იქ ენახა რამდენიმე უცხო სიგანი. როცა დამიხატა ყველა ის სიგნები, მაშინვე მივხვდი, რომ დონ-ალონსო ურია ყოფილა. მსწრაფლ გავექანე ინკვიზიციის სამმართველოში და უამბე ყველა რაც კი გავიგე ჩემი შვილისგან. აი, ასე, ამნაირად კი აღმოჩნდა ამ ურწმუნოთა კვალი. თუ არ ეს შემთხვევა, — ვინ იცის როდის გამხილდებოდა ეს საშინელი საქმე!? განა ახლა კაცს შეუძლია გაიგოს ვინ არის ურია და ვინ არა? თავის დღეში ვერ მივიტანდი დონ-ალონსოზე ეჭვს. მაგრამ ახლა, როგორცა სჩანს, ყველა კაცს იქვის თვალით უნდა უყურებდე, ახლა თვით ჩემ საუკეთესო მეგობართაც კი ადარ ვენდობი! ვინ დამენაძლევება, რომ ისინიც ებრაელნი არ იყვნენ? (ამ მხრით მდუდელთ დატინვა და იმ მხრით ებრაელთა დიტვა თანდათან მატულობს)

მღვდელმთავარი. (ანიშნებს ჯარის კაცთ, რომელთაც მოაქვთ ბოროკელები ხსარა-ჩხურით და სძრავენ შიშს და ძრწოლას. ჯარის კაცნი ზზათ არიან ებრაელთა შესაბორკავად და ელიან მთავარი მღვდლის ბრძანებას).

ენრიკო. (რომელიც აქამდინ მაშას ეჭირა ხელით და არ აძლევდა ნებას ადგილიდან დაძრულიყო, ასერხებს და უსხლტდება მაშას ხელიდან, გაქცევა ებრაელთა მხარეს და მიდის დიეგოსა და კლარასთან, რომელნიც დგანან და ესენიც დიტულობენ, ენრიკო ეწევა სახელოებით და ეუბნება) დიეგო! კლარა! გამიგონეთ მე ვკითხე მამას, მამა ჩემმა მითხრა, რომ მართალია რაც ჩვენ მოახლეს უთქვამს: ებრაელები საშინელი ჯადოქრები არიან! თქვენი მშობლებიც ებრაელები ყოფილან და საშინელი ჯადოქრები, მაგრამ თქვენ კი ჯერ არა ხართ ებრაელები, ვინაიდან ჯერ პატარაენები ხართ და კვალად შეგიძლიანთ გახდეთ ჩვენსავით კათოლიკენი. დიეგო! კლარა! გამიგონეთ! წამოდით, მოვკურცხლოთ აქედან, გაშორდით ამ წყეულ უწმინდურ ურიებს.

დიეგო. (მაიხედავს ენრიკოსკენ ამაყად და დატინვით, ეუბნება მაჯალისა და შეძაგრის ხმით, რომელიც მთელ გამოქვაბულში ისმის) მომშორდი თავიდან, შვილო ავაზაკ და ცოდვილ ერისაო! ამალამიდან აღარა ვარ შენი ამხანაგი! მომშორდი თავიდან საძაგელო! სირცხვილი შენთვის! მთელი შენი სიტყვები სულ სიცრუეა! სულ სიცრუეს ამბობთ, შენც, მამა შენიც, თქვენი მოახლეც და ყველა ის ხალხიც. რომელიც თქვენა ბგავთ! მე კი — მე ებრაელი ვარ, და არ მსურს, არ მინდა თქვენისთანა ვიყო! მე ებრაელი ვარ და ებრაელად მოვკვდები! ებრაელი ვარ და ამით თავი მოვაქვს! (უეცარ იქ მეოფნი შეჭეურებენ იმას. დონ-იმანუელს სახე გაუბრწყინდება ნეტარებით. მდუდლები და კათოლიკენი შეჭეურებენ გოლიბით. ერთ წუთს დრმა დუმილი დამყარდება მთა შორის, თითქოს დიეგოს ძლევამოსილმა ხმამ ყველა გაკვირვა. რამდენიმე წუთს დაბნეულნი სდგანან).

დონ-როდერიგო (ანდუეგს მდუმარებას, ნასვეარ ხმით) გესმით? ასეთი პატარა ყმაწვილი და ეს სიტყვები! საოცარია! საოცარი!

მღვდელმთავარი. (ანიშნებს ჯარის კაცთ) დაადეთ ბორკილები! (ჯარის კაცნი მიდიან ებრაელებთან ბორკილების ხსარა-ჩხურით).

დონ-იმანუელ. (დამშვიდებულის ხმით) ჩემო ძვირფასო ძმაო! განიმტკიცეთ გულნი თქვენნი! ელოდეთ უფალს და ესავდეთ მას

და ის გაცხოვნებთ! უკანასკნელ წუთამდე ელოდეთ მის შემწეობას—და მოგევლინებათ! (რკინის ბორკილები ჩხარა-ჩხურებენ, მოღელვარე ამოწვდილი მახვილები წკრიალებენ, ებრაელები იგრებენ ძალას და უმატებენ ლოცვას)

ფ ა რ დ ა.

ნ. ელიაშვილი ბენ—დავიდ.

საუკუნის თავი

ნ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავი, აღსანიშნავად ქართ. სიტ. კაზმ. საზ-ის თაოსნობით ორშაბათს, გიორგობისთვის 21, დიდუბეში, მგოსნის სამარესთან გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებამდე ანტონ ეპისკოპოსმა მშვენიერი შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა ქართ. სი.-საზ სახის მდივანმა არ. ჭუმბაძემ. მოლაპარაკემ ბევრი მწარე სინამდვილე აღნიშნა. ასეთი პოეტური, მჭევრ-მეტყველური, ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების ცოდნით აღსავსე და გულ-წრფელი სიტყვა იშვიათად გვსმენია. შემდეგ ილაპარაკა ივ. რატიშვილმა. . მგოსნის სამარე ცოცხალ ვარდ-ყვავილებით იყო შემკული. დაესწრო აუარებელი საზოგადოება. გალავანში იყიდებოდა მგოსნის ხელთნაწერი—ავტოგრაფი „ბედი ქართლისა". საღამოთი იმავე საზ-ბის სხდომა გაიმართა სამეურნეო ბანკის დარბაზში მგოსნის ხსოვნის აღსანიშნავად. სხდომას დიდძალი ხალხი მოაწყდა. საზ-ის თავმჯდომარემ ბ. გრ. რცხილაძემ მოკლე სიტყვით აღნიშნა ნ. ბარათაშვილის მნიშვნელობა და დამსწრეთ სთხოვა მგოსნის ხსოვნისთვის ფეხზე ადგომით პატივი ეცათ. გ. ქიქოძემ წაიკითხა მოხსენება. შემდეგ ს. ფაშალიშვილმა, ნ. ერისთავმა და ა. ჭუმბაძემ წაიკითხეს თითო ლექსი ბარათაშვილისა. სხდომა მეათე საათზედ დაიხურა.

ყველა ჰგრძნობდა, რომ ეს დღე მგოსნის სახელის შესაფერად ვერ აღინიშნა: ვერ მოასწრეს მის თხზულებათა გამოცემა, რომელიც თავს იდვა კნ. ეკ. მიხ. ერისთავისამ, არც საღამო მოეწყო, არც სახ ლხო გამოცემანი იყო. ქართულმა პრესამ, შედარებით, უკეთ აღნიშნა ეს დღე: „სახალხო ფურცელმა" „საქართველო"-მ, ქუთაითურმა „სამშობლო"-მ, თითქმის მთელი ნომრები უძღვნეს, „თან. აზრმა" ვრცელი წერილი, „თეატრი და ცხოვრებამ" საგანგებო ნომერი.

ვილაცამ სთქვა, ნ. ბარათაშვილი ჩვენდა სამწუხაროდ, რუსის კანცელარიაში გარდაიცვალა ამ 70 წლის წინადო. სამწუხარო მარტო ეს კი არ არის, არამედ ისიც, რომ მისი დაბადების ასის წლის თავი სადღაც კანცელარიაში გადავიხადეთ!

სირცხვილი!

ვეცადნეთ, ეს შეცდომა ახლა მაინც გამოვასწოროთ! **ი.—ელი.**

† გიორგი ხირსელი

ქართველ დემოკრატიას ერთი თვალსაჩინო წევრი გამოაკლდა,—თელავში შაქრის სენით გარდაიცვალა ექიმი გ. ხირსელი.

ვისაც განვლილი განმანთავისუფლებელი მოძრაობა, განსაკუთრებით 1905—06 წწ., ახსოვს, გიორგიც მოაგონდება, როგორც ხალხის გათვითცნობიერების ერთი თავგამოდებული მებრძოლთაგანი.

იგი მწერლობაშიც მონაწილეობდა (მოსულის და სხ. სახელებით, მაგრამ უმეტეს ცნობილი იყო პრაქტიკული მოღვაწეობით.

გარემოება ნებას არ გვაძლევს, მის ნამუშაკევს უფრო დაწვრილებით შევეხოთ; დადგება დრო და ქართველი გლეხკაცობა თუ მუშა ხალხი გულის ტკენით მოიგონებს უდროოდ გარდაცვლილ (35 წ. იქნებოდა) თავის ერთ თვალის ამხელთაგანს, გ. ხირსელს. მოწიწებით მადლობას შესძლევნის და მის ხსოვნას გულიდან არ გადაიყრის. **ი—ი**

არტუა სასწავლებელში

ეხლა მე რომ ღემნაზია და სემინარია არ გამითავებია, „ღრამატიკა" და „ისტორია" არ მისწავლია, ვითომ რაო, კაცი ვერ გამოვსულვ რა? არა, ძმავ, შენ შნო და უნარი თქვი, თორემ რაც უნდა კაცმა წიგნი ისწავლოს, თუ მუშაობის უნარი არა აქვს კაცი ფუჭია. აბა, ერთი მითხარი, ვის უწყვია ღოსუდარსტვენი ბანკში სამი ათასი თუმანი? —

მე თუ აი, იმ მუცელ-ცარიელ სტუდენტებს! იცით, ხელის მოწერა რომ არ მინდა ფულის გამოტანის დროს, ხუთჯერ პირჯვარი უნდა გადავიწერო, რვაჯერ მამიჩემის სულოცავები ვახსენო, ერთი მაგრათ ოფლში ვიბანავო და მერე კი მოვაწერო „არტო თითლიბაზოვი". ჰა, თქვენ არა თქოთ, რომ მე შკოლაში არა ვყოფილიყავ. ვიყავ, ვიყავ! როგორ არა!

ათი წლისა ვიყავ. ცხონებულ მამა ჩემ მიკიჩას ერთი მაზალო აზრი მოუვიდა თავში: გინდა თუ არა ჩემი არტუა შკოლაში უნდა მივსცეო. ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვიტირე, მაგრამ საქმე არა გაქ! მიყიდა კნიგები, ტეტრატები, რუჩკა-მელანი და მიმიყვანა „ლარა კოი" შკოლაში. მეტი ჩარა არ იყო! დავიწყე რაღა, სწავლა... ხუთი წელიწადი პირველ ადელენიაში ვიჯექ! კაცო, ეს თუთხმეტი წლის აქლემი ვზივარ პირველ ადელენიაში და ინჩი არაფერი ვიცი, ამი „უჩიტელი" ჩიხოტკაში ჩავაგდე. მეოთხე რომ არ გამოსცვალეს, მაშინ კი ცხელი დღე დამადგა... ისე შუათანად რომ ვიანგარიშოთ, დღეში ოთხმოცდა ხუთმეტი როზგი მხვდებოდა. ვფიქრობ, გამიშვით, რაღა, რას მაწვალებთ! არაო, ის ცხონებული მამა ჩემი ამბობს: ტერაცუა რომ ნასწავლია, ისეთი ნასწავლი უნდა გამოგიყვანოო.

ბოლოს, ერთმა „სლუჩიამ" მიშველა...

სიცხიანი გაზაფხული იყო. მამა ჩემმა ახალი წაღები მიყიდა. მეც ჩავიცვი წაღები და წაველი შკოლაში. სიარულში ვერაფერი გავიგე და შკოლაში რომ არ მიველი და დავჯექი, ერთი მამიჭირა, ერთი მამიჭირა წაღებმა რომ ჰა, გავთავდი კაცი! ცრემლები მომდის, რაღა. ავდექ და სტოლის ქვეშ წაღები გავიხადე და იქვე ცალკე მივაწყე. წინდებიც თან მივაყოლე. ვზივარ, ხელები ქვეშ ჩამიყვია და ოფლიან ფეხებს ვიფხან. ერთიც ვნახოთ უჩიტელი ამბობს.

— თითლიბაზოვ, გამოდი, დასკაზე ერთი რამ დასწერე... ვაჰ! რაღა ვქნა, ფეხშველა როგორ გავიდე. ავიღე წაღები და საჩქაროდ ვიცვამ, მაგრამ ფეხი შიგ რომ აღარ ჩადის!.. „უჩიტელიც" ძალაზეა, რაღა: მოდი და მოდიო. მეტი ჩარა არ იყო! ავდექ და ფეხშიშველა გაველ... ვააა! ერთი სიცილი ატყდა, რომ კედლები ჩამოინგრა. „უჩიტელის" სიბრაზისგან კიტაიცკი ჩეჩუნჩის ფერი დაედო. ამამკრეს პანჩური და გამომაგდეს შკოლიდან... ის დღე იყო და ის, მას აქეთ შკოლაში არ შევსულვარ: ცხონებულმა მამა ჩემმაც დაინახა ბოლოს, თუ რა ნასწავლი შვილიც გამოუვიდოდა და თავის ხელობაზე დამაყენა. სოლდაცკი ბაზარზე საყასპო გვქონდა, თუ გაგიგონიათ კოჭლ მიკიჩას საყასპო!

გუგული.

სახალხო თეატრი. დიდი ხანი არ არის რაც სახალხო თეატრი აღორძინდა საქართველოში. მისი ისტორია სულ ათი-თხუთმეტი წლით განიზომება. სასწაული იყო თუ არაჩვეულებრივი ამბავი ჩვენს მდორე ცხოვრებაში, მისი დაარსება სულ მეოთხმოცდაათიანელების ბრალია. მათმა გონიერობამ შექმნა სახალხო თეატრი და ხალხიც უკვე შეეთვისა მას, და ასეც უნდა მომხდარიყო. სარწმუნოებას გულაყრილი მდაბიო ხალხი სახალხო თეატრმა გადაგვარებას გადაარჩინა. დღეს სახალხო თეატრის საქმე თანისთანობით ბრწყინვალე ელფერს იღებს. მისი მესვეურნი, ხალხის შვილები არა ჰგვანან ძრამდასის მოსაქმიანეთ, რომელთა დაუდევრობამ ქართველი საზოგადოება წლეულს უთეატროდ დაარჩინა და თვით თეატრიც საშუდამო განსაცდელში ჩააგდო.

გასულ კვირის წარმოდგენამ „მსხვერპლმა" ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა სახალხო თეატრის წინამძღოლთა ენერგია და მეცადინეობა. ცოცხლად, მხატვრულად ჩაიარა პიესამ... მონაწილენი ერთმანეთს ეცილებოდნენ და ესე გაჩქონდათ პიესის დედა: განსახიერებული საქმე იყო ბ-ნი ანანიაშვილი, დინჯად და მწყობრად შეასრულა ბოქაულის როლი ბ-ნმა მეტრეველმა. ბ-ნი გამყრელიძე გაბუა ტიპიური იყო ვერ იყო თავის ადგილას ბ-ნი ხახანაშვილი. ამ სცენის

მოუვარეს არა აქვს მხატვრული ტემპერამენტი ქ ნნი მჭედლიშვილი, კოდერძი და ბ-ნნი ჯაბაური, მინდიაშვილი და მამაჯანოვი ანსაბდს ხელს უწყობდენ. ნიჭი ეტყობა ახალგაზდა სტენის მოყვარეს—ბ-ნ კობახიძეს. მასიურ სცენებს, როგორც სჩანს, ჯერჯერობით ისევუუურადღებოდ სტოვებენ.

კარგი იქნება, თუ სახალხო თეატრი უურადღებას მიაქცევს ჩვენს, შშობლიურ კერას და ხშირად გვანახვებს მის სახეს...

ალა ნორიელი

ავლაბარი და ხარფუხი,—ეს, ეს ორი უბანი თბილისის ყველა უბნებზე ჩამორჩენილი, რომელთაც ბნელი მოიცვეს და მტრონობა ესაჭიროება? ეს ორივე უბანი მოკლებულია სამკითხველოს, თეატრს, სტენას და, მაშასადამე, წარმოდგენებსაც! და რა ადზრდის საფუძველს ეს ორ-ელ-ნი ვერ მოეფოვება ვერც თეატრი, ვერც სამკითხველო? რა ეშველება ხალხს, რომელიც მიტოვებულია „უფრონთაგან, ბნელით მოცული?!

ვერ, ეს აუტანელია!?—და ამიტომ მოუხმობთ ქალურ საზ ისშეგნებულ ნაწილს—მოიგონოს თავის მოვალეობა—ხალხის დასაწინაურებლად ზრუნვა! საჭიროა: ხელი ეხელს მისცენ და ერთი მეორის დახმარებით ადგილინონ დაცემული თეატრი, ჩამოართვან მოიჯარადრეს, რომელსაც იგი საგაჭრო დაწესებულებად გაუხდია; შეკეთონ მეორე თეატრი, რომელიც უპატრონოდ არის მიტოვებული...

„სურვილი იეოს ქალა ორი ხელით იეშვეა“ ადვა მხნეობა, სიჭაბუკე, სიმამაცე, უანგარობა? ადვა საქმის სიყვარული? ადვ ერთან ძველი გამგეობის წევრნი, ან ქონება გამგეობისა?! ნუ თუ არ სურთ ძალა თავი დაანებონ?! დრო გამოდგებიანა და მოქმედებისა!!.

ს. ხ—ელი.

ბაქოში, როგორც ვიცით, წელს ორი დასი სწარმოებს: ერთი წ. კ ასზ. დრამატ სექციისა, მეორე—სამხ.-ასდიტ. წრისა. პირველი წარმოდგენებს თვით ქალაქში სიმენსა კინოთეატრ. ასზოგადოების დარბაზში ჭმართავს,—**მეორე**—ასდგურის რაიონში—ასკერებულო დარბაზში. აქაც და იქაც კვირაში თით წარმოდგენა იმართება, ესასიხარულო მოვლენა თავის დროზე იეო ადნიშნული ჟურნალ „თ. და ც.“ში. ამის ნაცვლად, რომ ეს მოვლენა ყველასთვის სასიხარულო გამხდარიეო, თავი იჩინა რა-დაც ახირებულმა გაუგებრობამ. წ. კ ასზ. დრამ. სექციამ სამხ.-ასდიტ. წრის მეერ სახალხო წარმოდგენების სეზონის გახსნა უბრალო ხელის შემშლელ ჩხირკედელობად გამოაცხადა.

სახალხო წარმოდგენებს რომ ბაქოში დიდი ნიადაგი აქვს, ეს აშკარა შეიქმნა,—შესაფერი ადიტორია უკვე ჩამოყალიბდა, პიესები იდგმება თანამედროვე, წარმოდგენებს ხალხი ეოველ თვის ბოლომად ესწრება. თვით სტენის მოყვარეებში განწყობილება ჩინებულია, სტენის გარშემო თავი მოიყარა ტოტალურმა ელემენტებმა და რითაც შეუძლიან, თავგამოდებით, საერთო საქმეში თავისი წვლილი შეაქვს; ყველა იშვიათის ასალითა და სიყვარულით მუშაობს, რაგორც საკუთარ ოჯახში, თვით წარმოდგენები, რაგორც ასრულების ისე მსატვრულის მხრივ რეჟისორ ვ. არაბიძის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ თანდათან უმჯობესდება.

წ. კ. გ. ასზ. დრამატიული სექციის სეზონიც კარგად მიდის. კომიტეტში მიწვეული არიან ტონობილი მრეწველნი ბ.ბ ხოშტარია, ჯაყელი და ამირეჯიბი, რომლებიც მატერიალურად დიდ დახმარებას უწევენ თეატრს სტენის გასამჯობესებლად, მოწვეულია ორი რეჟისორი: ბ.ბ. შ. დადიანი და ა. წულუკიძე (უკანასკნელი ამ ბოლო დროს ჩამოვიდა. მისი რეჟისორობით იდგმება „ბედკოგები“) და ოთხი პროფესიონალური მსახიობი. სეზონის გახსნიდან აგერ მესუთე წარმოდგენა მიდის. ეოველ წარმოდგენას ასზ-ბდოება ბლომად ესწრება. ზოგჯერ აუარებელი; პიესები რიგიანად იდგმება, თუმცა რეპერტუარი უკვე ადგმულ პიესებისა ჭრელია. საერთოდ ამ წრის საქმეც კარგად მიდის.

გულისაბა

ასდ. ხუფსას (გურია), ქართველთა სასიხარულოდ და ადგილობრივ მცხოვრებთა სა მაყოდ, ემატება ერთი ფრიად სიმპატიური დაწესებულება—ხელოვნების ლამპარი ოეატრი, რომლის უმთავრეი ინიციატორი, სამირკვლ ს ჩამყრელი ბრძანდება კნეინა მ. ნაკაშიძისა. ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენა სულიერად გვამაღლებს და ამაყად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს ბეზობლებს ეკნებათ სულიერი მასაზრდოებელი ხელოვნების ტაძარი. ამ მიზნის განსახორციელებლად კვირას, 30 ოკტომბერს, ადგილობრივ საქალებო სკოლის შენობაში ხარაზიშვილის რეჟისობით და დამსახურებულ სცენის მოყვარის ნუცა ნარაკიძის მო

ნაწილეობით დადგმულ იქმნა პ. ირეთლის „ქრისტინე“. საუცხოვოდ შეასრულეს ქ-ნმა თოთიბაძისამ მარიკა, მასწ. კვ-ძემ დათია ნ. ნარაკიძემ ქრისტინე.— (ცოტა კილო არ ჰქონდა შესაფერი. მიელო დამსწრე საზოგადოების ვან ცოცხალი ყვავილების თაიგული). ერ. ჩხაიძემ (იასონი), სეფირა ანთაძემ (სონა); არა უშავდა-რა სხვებსაც. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა, აივანზე ჭედვა იყო. დამსწრენი ნასიამოვნები დაიშალნენ. დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც კნ. მ. ნაკაშიძისა, ისე მასწ. ბაბილინა გურგენაძე (რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქმის მოწყობაში), მასწ. ლიდა მინაევა, ექვ. ნაკაიძე და სხ., რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ სიმპატიურ საქმეს. უსურვებთ ყოველივე დაბრკოლება გ დაელახოთ და საქმე სასურველ დ დაეგვირგვინებინოთ. საჭიროა ასეთ საქმეში სოფლის მუშ. ხალხიც მონაწილეობდეს. სამწუხაროდ ამ საქმის მოწყობაში აქაურ მცირე ინტელიგენციას არც ერთი სოფლელი გვერდში არ ედგა.

ეს დაბა სხვა კულტურულ დაწესებულებითაც შემკულია, მაგ. აქ დაარსებულია პირველ-დაწყებითი უმაღ. სასწავლებელი, სავაჟო და საქალებო სკოლები, კოოპერატივი, სამკითხველო და სხ. უსურვებთ ადგილობრივ მცხოვრებთ უფრო მეტი ფხის და უნარის გამოჩენას.

პ ლეჟელი.

წვრილი ამბები

✦ **დღეს შუადღისას** „ახალ კლუბში“ ქართ დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი“ დ საწყისი 12 ს.

ნ. ბარათაშვილის დილა ქართ. სიტყვა-კაზ. საზ. ის თაოსნობით გაიმართება მომავალ კვირას, ქრისტიშობისთვის 4 ახალ კლუბში.

✦ **სომეხთა მწერალი** ლ. შანთი თბილისს ჩამოვიდა თვისი ახალ პიესის „კეისრის“ წარმოდგენის სახელმძღვანელოდ.

✦ **კომპ კ. ფოცხვერაშვილმა** დასწერა ახალი ოპერა „გიმნაზიელის სიზმრები“. ოპერა წარმოსადგენად ნება-დართულია და ამ მოკლე ხანში ბაქოს სცენაზე წარმოადგენენ.

ბაქოს დრამ. წრემ, წრის თავმჯდ. ა. ხოშტარიას თაოსნობით, გადასწყვიტა ახალი ისტორიულ ტანისამოსები შეაკეთინოს. შესაფერ ესკიზებს ანგებოდ ახატვინებენ.

✦ **რეჟ. ა. წუწუნავა** ბაქოს დრამ. წრემ რეჟისორად მიიწვია;

✦ **გ. ხირსელი** თელავში, როგორც პროვინციის მუყაითი მოღვაწე. შესაფერი პატივით დაკრძალეს გიორგობ. 20 თელავის სასაფლაოს განსაკუთრებულ (პროვინციელ მოღვაწეთათვის არჩეულ) ადგილზე. ითქვა სიტყვები. კუბოს 12-და გვირგვინი ამკობდა.

✦ **განათლების საზ-ის** წევრთა წლიური კრება გაიმართება დღეს საკუთარ სკოლაში (სვიატოპოლკ მირსკის ქ. № 6)

✦ „განათლების“ სკოლის სასარგებლოდ ქრისტეშობისთვის 22 „არტ. საზ.“ თეატრში წარმოდგენას მართავს.

✦ მსახ. ა. ივანიძემ დასწერა ახალი ისტ. პიესა „ქართველები“, ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან.

✦ ალ. ყიფშიძის ხსოვნის აღსანიშნავად გამოიცემა მისი დაუსტამბავი ნაწარმოებნი.

✦ პოლონელთა მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის სულის მოსახსენებლად, ქართ. გაზეთ. („სახ, ფურ.“ „საქ.“) რედაქციების თაოსნობით გასულ კვირას კათოლიკეთა ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდის დაწყებამდე ქართ. კათოლიკეთა მოძღვარმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. დაესწრენ ქართულ მწერლობის, თეატრის, საკულტურო-საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი საზოგადოება.

✦ ემილ ვერჰარნი, ბელგიის სახელგანთქმული მწერალი, მუშათა მგოსნად აღიარებული, პარიზში ლექციის წაკითხვის შემდეგ გამგზავრებისას მატარებელზე შეხტომის დროს, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და გარდაიცვალა

✦ ქართული ეროვნული თეატრის აშენების შესახებ, თბილისსა და ქუთაისში, ბ-ნი ს. ქვარიანს გაზ. „საქართველოში“ (№ 251) ვრცელი წერილი აქვს. მარტავს-რა ქართული თეატრის დიად მნიშვნელობას, გვირჩევს, როგორც არა ერთხელ ჩვენც მოგვიწოდნია, ფულის შეკრებას ახლავე შევუდგეთ, რადგან ამ ჟამად ფული ბევრია და თეატრის მეგობრის რჩევის თანახმად, იაფ ფასიანი ლატარია გავმართოთ ოთხი მილიონ მან თბილისს და ქუთაისში თეატრების ასაგებათო.

ამერიკელი მწერალი ჯეკ-ლონდონი გარდაიცვალა კლერნ-ელენაში, კალიფორნიის შტატში. სიჭაბუკეში ბევრი გაჭირვება გამოიარა, მწერლობა დაიწყო 19 წლისამ და თვისი ოპტიმიზმით და სიმხნევით გაჟღენთილი მოთხრობებით საპატიო სახელი მოიპოვეს დაბადებიდან 40 წ. იყო.

✦ **ახალი პიესები დასწერა** ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობ-დრამატურგმა ვალ. შალიკაშვილმა: ერთი სოფლის ცხოვრებიდან, მეორე სტუდენტების. თუ რამე მიზეზმა ხელი არ შეუშალა, ავტორი ამ პიესებს მდგომარე ზამთარში დაიმუშავებს.

✦ **ვ. შალიკაშვილს** ბათომის ჰავა მოუხდა. თუ სახსარმა ხელი შეუწყო, სრული იმედია მისი გამომთელებისა. მსახიობმა გადააკეთა თვისი პიესის „უნიადაგონი“-ს სამი მოქმედება. პიესა ამ სეზონისთვის მომზადდება. როგორც გადმოგვცეს, ფრიად საყურადღებო ხატება გამოდის მიტო.

✦ **ისტ. თ. ჟორდანიას** ორმოცი პანაშვიდი გადახდილ იქმნება ოთხშაბათს, გიორგობისთვის 30, დიდუბეში მიცვალებულის სამარეზე.

✦ **ახალი სამხ-სალიტ კრებული** „საფირონი“, ლეონიძის თაოსნობით და ცნობილ მწერალკრიტიკოსთა მონაწილეობით გამოვა გიორგობისთვის დამლევს.

„თეატრი და ცხოვრების“

მომავალ 1917 წლის მხოლოდ წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორს** პრემას: აკაკის „ნაკვესებსა და ბრძნულ სიტყვებს-ა“ და 2, ჯოლა ლომათიძის „რჩეულ აზრებ“ს. ორივე წიგნს დაერთვის ავტორთა სურათები, ბიოგრაფიები და ფაქსიმილე ბი. ჟურნალში ჩვეულებრივ ი ანამშრომლებს ივ. გომართელი, მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო დამსახურებული და ახალგაზრდა მგოსნები, მწერლები, კრიტიკოსები. ჟურნალი ქალალდის სიძვირის გამო წლიურად 7 მ. და 50 კ. თ ილისში ფული მიიღება სორაპანის“ სტამბის კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—I. е. Имедашвили.

ქურ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ

ბ. ხ.

ბატონო რედაქტორო! ქალალდის სიძვირის გამო გაახლებთ ხუთ ხანეთს თქვენი პატივცემულის ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ ფ ნდისათვის

პატივის ცემით **სოფოლმა კერვალიშვილი**

გიორგობ. 6 სად. კატელნიკოვი:

გარდა ამისა მივიღეთ:

სილ. გაბუნიასგან (თბილისი) 5 მან.

ეძიმ ნახუცრიშვილისგან (გუმბრიდან)—5 მან.

პრაპორჩ. მამულაშვილისგან (მომქმედი ლაშქარი)—5 მან.

პრაპორჩ. გაბისონიასგან (მომქმედი ლაშქარი)—3 მან.

ყველა ზემოხსენებულ პირთ უგულითადეს მადლობას ვუძღვნით. რედ..

ახალი კლუბი 1 კვირის პროგ 27 გ.ორ-4 ქრის.

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი.

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი.

ხუთშაბ —ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

შაბ.—სიმფონიური ორკესტრი კონცერტ. მ. ა. ვოლფი-ბერაიის ხელმძღვან.

კვირა — რუსული წარმო. ბილეთ. 5 30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა ს.ლ.ბ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ საათ.

შესასვლელი ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცნი—1-მ.ნ.

რედ-კომ. **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой

სტამბა „სორაპანი“

ხარფუხს საზოგადო კლუბ

(მიხეილის პროსპექტი, № 163)

ორშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმ სიმ. ორკესტ.

პარასკევი—სიმებიანი ორკ. წარმოდგენა

შაბათი—სიმებიანი ორკესტრი.

კვირა —სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

„სოფლის“ გამოცემა.

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ყველგან საქართველოში

1917

კედლის კალენდარი

შედგ. მ. გაჩეჩილაძის და გრ. სვ. ჩარკვიანისა

ფასი 70 კაპ.

სახალხო კალენდარი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ფასი 30 კაპ.

„პარტიით“ მეცდენელებს შეუძლიან მიმართონ: Тифлисъ. Типографія „ежедневная“ М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თომა მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „ვინახლეებ“-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არ ჰქონია, არც ჰქონდეს და არც ექნება.

ქუთაისში
ქალაქ ბათუმი
ქალაქ ფოთი
ქალაქ სოხუმი
ქალაქ ბაკური
ქალაქ ბორჯომი
ქალაქ ახალციხე
ქალაქ ბაკურიანი
ქალაქ ბაკურიანი